

საქართველოს კანონი

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28(35), 1999 წელი, მუხ. 147) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-9¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ნაწარმოების დეპონირებისათვის გადაიხდება საფასური, რომელიც განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.“

2. მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან დაკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურეობრივი მოვალეობის ან დაკვეთის შესრულებასთან (სამსახურეობრივი ნაწარმოები), ეკუთვნის დამსაქმებელს/დამკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“

3. ამოღებულ იქნეს მე-16 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

4. მე-16 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში სიტყვა „სამუშაოს მიმცემს“ შეიცვალოს სიტყვით „დამსაქმებელს“.

5. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. შეკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემკვეთს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

6. 47-ე მუხლის მე-7 პუნქტში სიტყვა „სამუშაოს მიმცემის“, შეიცვალოს სიტყვით „დამსაქმებლის“.

5. 54¹-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„მონაცემთა ბაზის დეპონირების გადაიხდება საფასური, რომელიც განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

